

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრის აპარატი



2017 წლის ანგარიში სრულად

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ა/რ აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების სფეროში ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან მიმდინარე, მიმდინარე წელს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ურთიერთობა საქართველოს ცენტრალურ უწყებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან და ჩართულობა 2017 წლის გამოწვევების განხორციელებაში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც, მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

კერძოდ,

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისია
- თამარ მეფის სახელობის საპატრიარქო უნივერსიტეტი
- საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია. ქალაქი ფლორენცია) ფლორენცია
- ასოციაცია „რონდინე“ (იტალია)
- სამხრეთ კორეის მშვიდობის საერთაშორისო ორგანიზაცია (HWPL, სამხრეთ კორეა)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- დიტრიხ ბოილის ფონდი
- ბერგჰოფის ფონდი
- ებერტის ფონდი
- საქართველოს საპატრიარქო
- კავკასიური სახლი
- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი

მინისტრის აპარატის წინადადებები “სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებული დახმარების სისტემაზე გადასვლის“ თაობაზე

მიმდინარე წლის იანვარში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა შემოსული წერილის საფუძველზე განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დროებითი საექსპერტო ჯგუფის #1 შეხვედრისა (09.12.2016) და ამავე სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს (23.12.2016) სხლომის ოქმები და შეიმუშავა წინადადებები „სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებული დახმარების სისტემაზე გადასვლის“ თაობაზე. აღნიშნული საკითხი ითვალისწინებდა, ასევე, დევნილთა შემწეობის რეფორმების ალტერნატივებზე მსჯელობას.

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ-ჰენდთან“ (თებერვალი, 2017)

2017 წლის თებერვალში გაიმართა შეხვედრები მინისტრის აპარატსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდ“-ს შორის. აღნიშნული ორგანიზაცია ხელს უწყობს მოხალისეობის კულტურის დანერგვას საქართველოში, ახორციელებს მოხალისეობრივ პროგრამებს, ჩამოყალიბებული აქვს „მოხალისეთა ინკუბატორი“, რომელიც აერთიანებს 500-ზე მეტ მონაწილეს.

ზემოთ ხსენებულმა ორგანიზაციამ მინისტრის აპარატთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა პროგრამის „მოხალისეობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც 2017 წლის 20 თებერვლიდან დაიწყო სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით და მიზნად ისახავს სხვადასხვა რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას, დადებითი ღირებულებების პოპულარიზაციას მოხალისეობრივი პროგრამების დანერგვით.

განისაზღვრა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორმატი. კერძოდ, პროექტის ფარგლებში მინისტრის აპარატის აქტიური ჩართულობა. ასევე, მინისტრის აპარატმა პროექტის დონორი ორგანიზაციის აღმოსავლეთ - დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI-ACCESS) წინაშე რეკომენდაცია გაუწია ერთობლივად შემუშავებულ პროექტს.

გარდა პროგრამისა „მოხალისეობის მხარდაჭერა საქართველოში“, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან გამართულ ინტენსიურ შეხვედრებზე მიმდინარეობს პროექტების შემუშავება და დონორების მოძიება შემდეგი მიმართულებებით:

- დევნილი საზოგადოების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ასევე, დევნილი ახალგაზრდების ჩართულობა საერთაშორისო და ადგილობრივ პროგრამებში.

პროგრამა - „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე მკვლევარების ხელშეწყობის პროგრამა“

2017 წლის პირველი კვარტალიდან ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა დაიწყო დევნილი სტუდენტების პროგრამა „გამოცდილების გაზიარება, მომავალი კარიერული წარმატებისათვის“, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესების გამრავალფეროვნებას.

2017 წლის 17 თებერვლიდან იმართება საკონსულტაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან. კერძოდ, სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ „ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული დიალოგის როლზე ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტის მოგვარებაში“, დაინტერესდნენ ისეთი პროექტებით, რომლებსაც ახორციელებს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

მინისტრის აპარატი, ასევე აქტიურად თანამშრომლობს აფხაზეთის თემით დაინტერესებულ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან, შესაბამისად აწვდის მათ ღირებულ აკადემიურ ინფორმაციას აფხაზეთის თემატიკასთან მიმართებაში და განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროგრამების შესახებ, ეხმარება მათ ანალიტიკური მასალების მოპოვებასა და შეფასებაში.

ევროკავშირის (აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული პროგრამა) საგრანტო პროგრამაზე მუშაობა

მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ ერთად განიხილა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2017 წლის საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია. გაანალიზდა თანამედროვე გამოწვევები და პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტები (შესაძლებლობების განვითარება ახალგაზრდების მიმართულებით - 1. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება; 2. სოციალური მეწარმეობის განვითარება).

სამუშაო შეხვედრების პროცესში მინისტრის აპარატსა და სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრ“-ს შორის გამოიკვეთა თანამშრომლობის გზები პროექტის ფარგლებში. შემუშავებულ იქნა საპროექტო წინადადებები დონორ ორგანიზაციასთან წარსადგენად. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტი არის საერთაშორისო და ითვალისწინებს თანამშრომლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში არსებულ სამთავრობო, არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ხსენებულ პროექტში პარტნიორ ორგანიზაციად, ასევე, შერჩეულ იქნა იტალიაში მოქმედი ასოციაცია „რონდინე“, რომელთანაც გაიმართა ონლაინ შეხვედრები, განხილულ იქნა თანამშრომლობის პერსპექტივები და პროექტთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები. პროექტი მომზადდა და გადაგზავნილ იქნა დონორთან.

საინფორმაციო შეხვედრები ტურნირის „CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“ შესახებ (მარტი, 2017)

2017 წლის მარტში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ტურნირის „CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“ შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები. მათ შორის შეხვედრებზე მონაწილეობას იღებდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, ვინაიდან აღნიშნულ ღონისძიებაში ჩაერთვებიან, ასევე, დევნილები და გალის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდები.

დაგეგმილი ტურნირი მოიცავს შემდეგ სპორტულ აქტივობებს: საბავშვო ქუჩის ფეხბურთის ფესტივალს, საბავშვო ქუჩის კალათბურთის ახალგაზრდულ ფესტივალს, სპრინტს 60 მეტრზე და ჭადრაკს. წარმოდგენილ სახეობებში შეჯიბრებები გაიმართება როგორც ვაჟებს, ასევე, გოგონებს შორის. მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ 14-16 წლის მოზარდებმა, როგორც სკოლის გუნდებმა, ასევე, პირთა გაერთიანებებმა. გამარჯვებულ სპორტსმენებს საქართველოს 12 რეგიონიდან 8 დღით უმასპინძლებს „მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში, სადაც გამოვლინდება საქართველოს ჩემპიონი.

პროექტის ფარგლებში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი პროექტის თანაპარტნიორად შემოიერთებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს. ერთად კი უზრუნველყოფენ გალიდან ახალგაზრდების ჩართულობას შეჯიბრებებში და გაუწევენ მათ კოორდინირებას მთლიანი ტურნირის განმავლობაში.

კონფერენცია „პლანეტა დედამიწა 2017 წლის მემკვიდრეობა, ინტელექტუალური მოგზაურობა, ინტელექტუალური არქიტექტურა, მემკვიდრეობა და დიალოგის წარმართვა“ (10-13 მარტი ფლორენცია, იტალია)

2017 წლის 10-13 მარტს, ფლორენციაში (იტალია), რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია თემაზე - „პლანეტა დედამიწა 2017 წლის მემკვიდრეობა, ინტელექტუალური მოგზაურობა, ინტელექტუალური არქიტექტურა, მემკვიდრეობა და დიალოგის წარმართვა“. ასევე, მოეწყო ფონდის მე-19 საერთაშორისო ექსპერტთა ასამბლეა.

საერთაშორისო კონფერენციამ და ასამბლეამ 5 კონტინენტიდან თავი მოუყარა 45 ქვეყნის პროფესორებს, მკვლევრებს, აკადემიკოსებს, რომელნიც მუშაობენ მსოფლიოში კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიმართულებით. საერთაშორისო მასშტაბით შექმნილია ექსპერტთა და პარტნიორ ორგანიზაციათა ქსელი, რომელშიც შესულია 500-ზე მეტი უნივერსიტეტი და 80-ზე მეტი ქვეყანაში დაფუძნებული საგანმანათლებლო ცენტრები. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, პარტნიორ ინსტიტუტებთან შორისაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში პროექტებს ახორციელებს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

საერთაშორისო კონფერენციაზე და ექსპერტთა მე-19 ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი ბელა კოპალიანი, რომელმაც თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: თანამშრომლობა კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის. გამოსვლაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და ცივილიზაციათა შორის ინტენსიურ კულტურულ დიალოგს. ხაზი გაესვა იმასაც, რომ საქართველო დღეს უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, რათა გაიკაფოს გზა ევროინტეგრაციისაკენ. მან, ასევე, აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ქვეყნებთან და ისეთ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობას, რომელთაც ამ კუთხით გამოცდილება აქვთ და რომ საქართველოსა და მისი ხელისუფლების სწრაფვა ევროინტეგრაციის გზაზე შეუქცევადი პროცესია.

გამოსვლისას აქცენტი გაკეთდა აფხაზეთის პრობლემატიკაზე და, ასევე აღინიშნა, თუ რა პრობლემების წინაშე დგას დღეს აფხაზეთში არსებული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ქრისტიანული საკულტო ნაგებობები, კედლის მხატვრობის უძველესი ქართული წარწერები და რომ მნიშვნელოვანია ამ კუთხით შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და მათთან ერთად შესწავლა იმისა, თუ რა ზიანი მიადგა იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რათა შესაბამისად მომზადდეს სამოქმედო გეგმა. ასევე, განსაკუთრებულად ხაზი გაესვა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას პროცესებში, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ნდობის აღდგენაზე და შერიგებაზე. პროფესორმა, ქალბატონმა ბელა კოპალიანმა ისაუბრა, ასევე პუბლიკაციაზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩვენს პროექტებში ჩართულ ახალგაზრდებს, მათ ხედვებს მიეძღვნა.

პარალელურად ღონისძიებისა, ქალბატონმა ბელა კოპალიანმა გამართა შეხვედრები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები ახალგაზრდობისა და პროფესორის ჩართულობის კუთხით.

ღონისძიების ფარგლებში გამოვიდა პუბლიკაცია, რომელშიც თავმოყრილია 45 ქვეყნის წარმომადგენლის სტატია. აღნიშნულ პუბლიკაციაში შევიდა, ასევე, სტატია, რომელიც ეხება საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ჩართულობას ინტერკულტურულ დიალოგში საერთაშორისო დონეზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული წინა პროექტები (3 პროექტი) აღიარებულ იქნა როგორც საუკეთესო შედეგზე ორიენტირებულ პროექტთა შორის.

2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისადმი გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა (24 მარტი, 2017)

2017 წლის 24 მარტს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა აქტიური მონაწილეობა მიიღო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები-გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში.

აღნიშნული შეხვედრა საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალები კონფლიქტში, მშვიდობა და უსაფრთხოება“ განხორციელების მიზნით გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების

ფარგლებში კონფერენციაზე განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული დღევანდელი მდგომარეობა, ადამიანთა უსაფრთხოების, უფლებების დარღვევისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. მოხდა ინფორმაციის გაზიარება, შენიშვნებისა მიღება და რეკომენდაციების შემუშავება ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ეფექტური რეაგირებისა და პრობლემების მოგვარების მიმართულებით.

მოწამეობრივად აღსრულებული მღვდელმონაზონის მამა ანდრიას (ყურაშვილი) დაბადების დღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო (ბაღდათი, 3 აპრილი, 2017)

3 აპრილს სოფელ ბაღდათში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის ორგანიზებით ჩატარდა აფხაზეთში, სოფ. კომაში მოწამეობრივად აღსრულებული მღვდელმონაზონის მამა ანდრიას (ყურაშვილი) დაბადების დღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილემ მანანა ანუამ. საღამოს ესწრებოდნენ ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი, სასულიერო პირები, ქართული ლიტარატურისა და ხელოვნების გამოჩენილი და, ასევე, ახალგაზრდა მოღვაწეები, ბაღდათში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, რომლებიც სიტყვით გამოვიდნენ საღამოზე და ისაუბრეს მამა ანდრიას (ყურაშვილი) და იური-გიორგის (ანუა) ცხოვრებაზე და მათი მოწამეობრივი აღსასრულის მნიშვნელობაზე ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგებისათვის. საღამოზე ნაჩვენები იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტური ფილმი “ხიდი”.

პროექტის „სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის ფორმირება“ ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა (26 აპრილი, 2017)

2017 წლის 26 აპრილს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, რომელიც გაიმართა პროექტის „სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის ფორმირება“ ფარგლებში დიდი ბრიტანეთის მთავრობის „კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მხარდაჭერით. მინისტრის აპარატთან ერთად კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები: კავკასიური სახლი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ანალიტიკური და ანგარიშგების დეპარტამენტი.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: „შერიგების პოლიტიკა ახალი გამოწვევების ფონზე“; „სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო მხარდაჭერის გავლენის აღქმა: ხედვა თბილისიდან“; „შეთანხმება ძალის არგამოყენების შესახებ: თბილისი გზაგასაყარზე“.

**კონფერენციაში „ძირითადი საკითხები -კონფლიქტურ რეგიონებში არსებული დღევანდელი პრობლემები და მასზე რეაგირების გზები“ მონაწილეობა
(28 აპრილი, 2017)**

2017 წლის 28 აპრილს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან (UNOG, EUMM) ერთად აქტიურად იყო ჩართული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და გაეროს ქალთა ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც ეხებოდა კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ დღევანდელ პრობლემებს და მასზე რეაგირების გზებს.

კონკრეტულად კი კონფერენციაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: ჟენევის დისკუსიების პერსპექტივები, ჰუმანიტარული და დევნილთა დაბრუნების საკითხები, ძალის არგამოყენების უზრუნველყოფა, უსაფრთხოების და სტაბილურობის საკითხები, არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით.

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი საღამო (24 მაისი, 2017)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის პარტნიორობით 2017 წლის 24 მაისს შოთა რუსთაველის სახ. თეატრში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის დღეს. აღნიშნულ ღონისძიებაზე მინისტრის აპარატის მიერ მომზადდა უნიკალური ფოტოგამოფენა, რომელიც მიეძღვნა მუჰაჯირობის თემას. აღნიშნულმა გამოფენამ დამთვალიერებელთა და მონაწილეთა დიდი

ინტერესი გამოიწვია. ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

**მრგვალი მაგიდა თემაზე „კონფლიქტური რეგიონები და ადამიანის უფლებები“
(8 ივნისი, 2017)**

2017 წლის 8 ივნისს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის - „თავისუფლებისათვის“ - ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდის შეხვედრის მეოთხე რაუნდი - „კონფლიქტური რეგიონები საქართველოში და ადამიანის უფლებები“. კონფლიქტის სფეროში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა განიხილეს კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და ყურადღება გაამახვილეს პრობლემის მოგვარების დიპლომატიური გზების საჭიროებაზე.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა ბელა კოპალიანმა აღნიშნულ შეხვედრაზე გააკეთა მოხსენება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით და ისაუბრა რეაგირების მექანიზმებზე, რომელსაც ახორციელებს აფხაზეთის მთავრობა და შესაბამისად საქართველოს მთავრობა. მან პოლიტიკური პარტიები და ჟურნალისტები მოიწვია თავისთან, რათა მოხდეს უფრო მეტი საერთო ინიციატივების გამოვლენა და საკითხთან მიმართებაში საერთო პოზიციების შეჯერება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2018-2021) მომზადება (ივნისი, 2017)

მინისტრის აპარატში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2018-2021) ფარგლებში ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა შემდეგი პროგრამები:

- სამშვიდობო რესურსები-ქართულ აფხაზეთურ ურთიერთობებში და საქართველოს ევროპული მომავალი
- ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის(საერთაშორისო პროგრამა)

- მშვიდობის ლაბარატორია
- აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტების და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში
- კვლევა - "აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში
- დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში

განსახორციელებელი პროგრამები მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, თანამშრომლობის გააქტიურებას ერთობლივი, პრაგმატული მნიშვნელობის საკითხებზე (განათლების, სოციალური მეწარმეობის, უსაფრთხო კეთილმეზობლური ურთიერთობების, ინტერკულტურული დიალოგის, ევროინტეგრაციის), საერთო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე მსჯელობას, ანალიტიკური აზროვნებისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისთვის და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გასამკლავებლად.

პროგრამის „ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები“ ფარგლებში კონფერენცია თემაზე - „აფხაზეთი - არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები“ (30 ივნისი, 2017)

აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის „ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები“-ს ფარგლებში მინისტრის აპარატის მიერ 2017 წლის 30 ივნისს ჩატარდა კონფერენცია თემაზე - „აფხაზეთი-არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები“.

გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა კვლავ ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევად რჩება, კონფერენციის მიზანი იყო აღნიშნულ თემაზე ინფორმაციის მიღება იმ სამთავრობო და არასამთავრობო ჯგუფებისაგან და ექსპერტებისაგან, რომლებიც კონფლიქტების თემატიკაზე მუშაობენ, ვინც უშუალოდ მონაწილეობს აფხაზეთის პრობლემების კვლევისა და მოგვარების სამუშაო პროცესში.

კონფერენციის პირველ ნაწილში განხილულ იქნა აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში, რა პრობლემების წინაშე დგას იგი დღეს, რა მექანიზმები მუშაობს და სამომავლოდ რა ინსტრუმენტები შეიძლება იქნას

შემუშავებული პრობლემების დასაძლევად როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

კონფერენციის პირველი ნაწილი დაეთმო პანელურ დისკუსიებს ისეთ საკითხებზე, როგორც არის:

- აფხაზეთის ომი და პოსტ ტრამეული ადაპტაცია
- აფხაზეთის ომი და დევნილები (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და შედეგები, პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები.
- ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები: მიღწევები და გამოწვევები.
- ევროკავშირის როლი კონფლიქტის მოგვარებაში.
- საქართველოს მოკავშირე ქვეყნების და ორგანიზაციების ბერკეტები და პრაქტიკული განხორციელების მექანიზმები აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად.
- ქართული სახელმწიფოს მიდგომები და სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებები
- დავების მოგვარება, მშვიდობიანი გზების მაგალითები, სასამართლო ექსპერტიზა
- ადამიანის უფლებები აფხაზეთში
- ინტერკულტურული დიალოგის მნიშვნელობა და გამოწვევები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.
- ახალგაზრდობის ჩართულობა სამშვიდობო ინიციატივებში ხელშეწყობა და მხარდაჭერა.
- სახელმწიფო მოწყობის შესაძლო ახალი მოდელი და აფხაზეთი

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო კონფერენციის პირველ ნაწილში გაწეული რეკომენდაციების აკუმულირებას და დასკვნების მომზადებას, რაც სამომავლოდ გამოიცემა დოკუმენტის სახით და მიეწოდება სამშვიდობო პროცესებში ჩართულ სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

პროექტის „გლოუ ბანაკი“ ფარგლებში თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „გლოუ საქართველო“ (აგვისტო, 2017)

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამაში ახალგაზრდობის ჩართულობის კარგი მაგალითი იყო ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პარტნიორობით ორგანიზაციების „Peace Corps“ და „გლოუ საქართველო“ (Glow Georgia) პროექტი „გლოუ ბანაკი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14-17 წლის მოზარდებმა, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. ბანაკი ემსახურებოდა მოზარდებში ტოლერანტობის, ნდობის აღდგენის, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებებს, ლიდერობის უნარ-ჩვევების ამაღლებას, კარიერული წინსვლის დაგეგმვას.

მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა „Peace Corps“-ისა და „გლოუ საქართველოს“ წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისსა და ქუთაისში გამართულ გლოუ

ბანაკის პრეზენტაციებში. ისინი კოორდინაციას უწევდნენ რეგიონებში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების ინფორმაციით უზრუნველყოფას.

საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციასთან (HWPL) კოორდინირებული მუშაობა სამშვიდობო ინიციატივებზე

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი ორგანიზებას უწევდა დისტანციურ შეხვედრებს სამხრეთ კორეის საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციასთან HWPL-თან ისეთ საკითხებზე, როგორც არის: სამშვიდობო ინიციატივები (სამშვიდობო ინიციატივების ესეების კონკურსი და გამოფენა მშვიდობის თემაზე) და მშვიდობისა და ომის შეწყვეტის დეკლარაციის სამართლებრივი ასპექტები.

გაიმართა ონლაინ-დისკუსიები, რომლებზეც განიხილეს ის ძირითადი რეზოლუციები, რომლებიც მიღებულ იქნა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციასთან „International alert“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა დაიწყო თანამშრომლობა ორგანიზაციასთან „International alert“, რომელიც ახორციელებს სამშვიდო ინიციატივათა მხარდაჭერას. 2017 წლის ოქტომბრიდან იგეგმება ინტენსიური მუშაობა ერთობლივ პროექტებთან დაკავშირებით.

სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის პროექტი სახელწოდებით „საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ“ (13-14 სექტემბერი, 2017)

2017 წლის 13-14 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში (წყნეთი), სასტუმრო „კოპალაში“, სამთავრობო

სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“.

პროექტის ფარგლებში, სადაც მონაწილეობას იღებდა 20 ახალგაზრდა, ჩატარდა მასტერკლასები, მოეწყო შეხვედრები ცნობილ და წარმატებულ ადამიანებთან, სამშვიდობო ინიციატივებზე მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე ყოველი საღამო დატვირთული იყო შემოქმედებითი ღონისძიებებით, მოეწყო გამოფენები: „ქართული კალიგრაფია“, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“.

პროექტის პირველი დღე მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორმა გიგა გაბელაიამ ისაუბრა თემაზე „ახალგაზრდული პოლიტიკის გამოწვევები და განხორციელებული საქმიანობა“.
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორმა ელენე ნათენაძემ ჩაატარა სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეებმა მოისმინეს „ქართული და აფხაზური ოჯახების ბიოგრაფიები“ და შემდეგ გაიმათეს დისკუსია აღნიშნულ თემაზე.
- საერთაშორისო ტერნერმა, მშვიდობის ელჩმა გიორგი გაბედავამ ისაუბრა თემაზე: „ევროკავშირის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების წესი“.
- ელისო ჩაფიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე - „პოლიტიკა, ჟურნალისტიკა და ახალგაზრდობა“.

პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში, კერძოდ,

- იურისტმა დავით თორიამ ჩაატარა შეხვედრა თემაზე - „კონფლიქტის ანატომია უახლესი ისტორიის ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტების მიმოხილვა, იმიტირებული მოლაპარაკებები, პრაქტიკული სავარჯიშო მედიაციაზე“ (კაზუსები).
- კონსულტანტმა მშვიდობისა და კონფლიქტების საკითხებში, ტერნერმა - გურანდა ბურსულაია ჩაატარა შეხვედრა თემაზე: “Storytelling in Peace Building” .

გარდა სამუშაო შეხვედრებისა, მოწვეული სტუმრების მიერ მოხდა საკუთარი გამოცდილების გაზიარება. საზოგადოება „პროფილის“ ხელმძღვანელმა მანანა გეგიძემ და კომპანია „მარი გოლდის“ ხელმძღვანელმა თამარ ნადირაძემ ისაუბრეს თემაზე: „წარმატების ისტორიები“.

ასევე, გაიმართა ფლორენციაში განხორციელებული პროექტის ფარგლებში ინტერნაციონალური ჯგუფების მიერ გადაღებული ფილმის „საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“ და ჟურნალისტის, სოციალური მედია-მენეჯერის ხატია გოგოხიას ფილმის „ხიდის ორი მხარე“ ჩვენება და დისკუსია.

სამთავრობო ინსტიტუციებიდან და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოწვეული სტუმრებისა და ახალგაზრდების მიერ განხილულ იქნა ახალგაზრდების ჩართულობით განხორციელებული პროექტები, გაიმართა დისკუსია თემაზე: „საქართველოს თანამედროვე გამოწვევები, გამოცდილების გაზიარება და პერსპექტივები“ ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პარტნიორობითა და აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს SOS ბავშვთა სოფელმა 2017 წლის ივნისში შეიმუშავა საპროექტო განაცხადი, რომელიც განსახილველად წარედგინა ავსტრიის სპორტის სამინისტროს. პროექტის მთავარი მიზანი იყო **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში**, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს სპორტული მოედნების (კალათბურთისა და ფეხბურთის) მოწყობას, ასევე, სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას. დონორი ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო პროექტის მოსარგებლეები ყოფილიყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

ავსტრიის სპორტის სამინისტრომ დადებითად შეაფასა წარდგენილი პროექტი. პროექტის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია იქ მცხოვრები დევნილებისთვის. პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია. იგი ექვსი თვის განმავლობაში გაგრძელდება (2017 წლის სექტემბერი - 2018 წლის თებერვალი).

ბაზალეთში საერთაშორისო ბანაკი - Connecting Youth Through Art: EU-EaP Summer Camp (სექტემბერი, 2017)

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, ბაზალეთში საერთაშორისო ბანაკი - Connecting Youth Through Art: EU-EaP Summer Camp 2017 გაიხსნა. ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევდა აღნიშნულ ბანაკში აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი ახალგაზრდების ჩართულობას. ბანაკმა მოზარდებს 18-24 სექტემბერამდე უმასპინძლა. ბანაკში 10 ქვეყნის 80 წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას. საზაფხულო ბანაკი მიზნად ისახავდა ინტერკულტურული მეგობრობის გაღრმავებას, არაფორმალური დიალოგისათვის პლატფორმის შექმნას და ევროპული ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

აქვე საფუძველი ჩაეყარა - "ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის სკოლა", რომელიც ოფიციალურად 2018 წელს გაიხსნება. აღნიშნული პროგრამა ევროპის კომისიის და საქართველოს მთავრობის ერთობლივი ღონისძიებაა, პროგრამაში ჩაერთვებიან ახალგაზრდები საქართველოდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან.

მუჰაჯირობისადმი მიძღვნილი ბუკლეტები

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა „მუჰაჯირობისადმი“ მიძღვნილი ბუკლეტები, რომლებშიც შეიცავენ უნიკალურ ფოტომასალას და იმ მოვლენების აღწერას, რომლებიც აისახა კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზებისა და ქართველების გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში.

ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის (8 დეკემბერი, 2017)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა, სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 8 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო „ლაერთონში“, გამართა კონფერენციას თემაზე - „კულტურული დიალოგი და ახალგაზრდების როლი სამშვიდობო პროცესებში“.

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების როლის გააქტიურება პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი ჩართულობის ხელშეწყობა ნდობის აღდგენისა და მშვიდობის პროცესებში. კონფერენციაზე მუშაობდა ორი თემატური პანელი, რომელიც მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

1. სახალხო დიპლომატიის როლი კონფლიქტების რეზოლუციაში
2. ტურიზმი, ახალგაზრდები და ქართული პროდუქცია მშვიდობის მშენებლობაში

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მასშტაბით 30-მდე კონკურსის წესით შერჩეული ახალგაზრდა. ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამავე კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება ბიზნეს ორგანიზაციასთან, რომელიც სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში, ჩამოასხამს ღვინოს სახელწოდებით, რომელზეც შეთანხმდენენ კონფერენციის მონაწილე ახალგაზრდები და კონფერენციის პარტნიორი ინსტიტუციები.

პროექტის პარტნიორები იყვნენ:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
- საქართველოს საპატრიარქო
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შვედური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია
- მსოფლიო ქართველ სტუდენტთა კავშირი
- ამერიკული საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“
- სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS
- არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური სახლი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „პროაქტივ ჯგუფი საქართველო“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „კრეატიული ჯგუფი“
- კომპანია „შილდა“

**პროგრამის „საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ ფარგლებში
პროექტი „გაეროს ასამბლეა საქართველოში“
(ბათუმი, 16-18 დეკემბერი, 2017)**

პროგრამის „საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ ფარგლებში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის პარტნიორობით ა(ა)იპ ორგანიზაციამ “მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის” 2017 წლის 16,17, 18 დეკემბერს, ბათუმში ორგანიზება გაუწია მასშტაბურ პროექტს “გაეროს ასამბლეა საქართველოში”.

პროექტის ფარგლებში სხვა ადგილობრივ, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველ მოადგილემ ბელა კოპალიანმა ჩაატარა სესიები თემაზე „ახალგაზრდების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში და ინტერკულტურული დიალოგი“. აღნიშნული სესიები გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეწყო სასწავლო ვიზიტები ბათუმში განთავსებულ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში.

მინისტრის აპარატი, ასევე, კოორდინირებას უწევდა სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა სასწავლებლის ახალგაზრდების ჩართულობას პროექტში. ნაწილი აღნიშნული ახალგაზრდებისა პროექტში დელეგატის სტატუსით მონაწილეობდა, რომლებიც გაეცნენ გაეროს ასამბლეის სტრუქტურასა და მუშაობის პრინციპებს, გაიღრმავეს ცოდნა და შეიძინეს ასამბლეაში მუშაობის გამოცდილება, გააანალიზეს მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევები, გაიცნეს და დაამყარეს კონტაქტი ასამბლეის ახალგაზრდა ლიდერებთან და შეიმუშავეს სარეზოლუციო პროექტები. მინისტრის აპარატის მიერ კოორდინირებული ახალგაზრდების ნაწილმა კი ასამბლეაზე მოწვეულ დელეგატებს ჩაუტარეს მასტერკლასები შემდეგი თემატიკით: 1. მედიის როლი კონფლიქტის დარეგულირებაში - იზა აბშილავა; 2. საერთაშორისო პროგრამაში ახალგაზრდების ჩართულობა - გიორგი გაბედავა; 3. ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობა და საერთაშორისო გამოცდილება - მერი მარშანია. ასევე ახალგაზრდა დელეგატები

პარალელურად ღონისძიებებისა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა ორგანიზება გაუკეთა აფხაზეთიდან დევნილი კალიგრაფის, ლეილა ბაღბაიას კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენას, რომლის თემატიკა იყო „კულტურული მემკვიდრეობის როლი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“.

ტრენინგები და სემინარები

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგ-სემინარებში: “ნორმატიული აქტების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონთან მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით”, „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონთან მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით“, ტრენინგი ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა

დაწესებულია მკაცრი კონტროლი შემოსული დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე, შემოსული განცხადება-საჩივრების რეაგირებაზე, მოქალაქეთა მომსახურებაზე.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში:

1. შემოსულია 109 ოფიციალური წერილი
2. 82 სამართლებრივი აქტი
3. გასულია 122 ოფიციალური წერილი